დუშეთის მუნიციპალიტეტი

2025 წლის ანგარიში

არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია

შინაარსი

შესავალი .....

ნაწილი I. ძირითადი მიღწევები .....

თავი 1. დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება და მართვა .....

1.1 დაცული ტერიტორიების დაარსება, გაფართოება და განვითარება .....

1.2 სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება და დამტკიცება.....

ნაწილი II. ძირითადი მიმართულებების დეტალური პროგრესი .....

თავი 1. დაცული ტერიტორიების დაცვა და კანონაღსრულება .....

თავი 2. ხანძრებით, მავნებლებით, დაავადებებით და სხვა ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული რისკების მართვა.....

თავი 3. დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია.....

3.1. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და ძირითადი სახეობების სტატისტიკა .....

3.2. სამეცნიერო კვლევები დაცულ ტერიტორიებზე.....

3.3 კონსერვაციული პროექტები.....

თავი 4. დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება .....

თავი 5. გარემოსდაცვითი განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა .....

5.1. ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები და განხორციელების სტატისტიკა .....

5.2 თანამშრომელთა გადამზადება / ტრენინგები.....

თავი 6. ეკოტურიზმი დაცულ ტერიტორიებზე .....

6.1. ეკოტურისტული სერვისები .....

თავი 7. დონორებთან თანამშრომლობა .....

7. 1. დონორების მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები.....

შესავალი

- „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ “ საქართველოს კანონის (N 7102 Iს, 16 სექტემბერი, 2020) საფუძველზე დაარსდა არაგვის დაცული ლანდშაფტი. კანონი ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვრიდან, ხოლო ადმინისტრაცია დაფუძნდა 2021 წლის 4 მარტს დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ.
- არაგვის დაცული ლანდშაფტი მე-5 (IUCN) კატეგორიის მეორე დაცული ტერიტორიაა.
- არაგვის დაცული ლანდშაფტი მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტში და მისი ფართობი შეადგენს 99 802 ჰა-ს. 2026 წლიდან არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიას ემატება ვაშლობის ტერიტორია 3 706 ჰა და გახდება 103 508 ჰა.
- არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსები 2025 წელს არის შემდეგნაირად: **ადმინისტრაციის განყოფილება** სადაც შედის: განყოფილების უფროსი, ბუღალტერი, შესყიდვების სპეციალიტი და საქმის მწარმოებელი; **დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების განყოფილება**: განყოფილების უფროსი, ტურიზმის განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი 2, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტი, ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სპეციალისტი; **ბუნებრივი რესურსების მართვისა და დაცვის განყოფილება:** განყოფილების უფროსი, ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტი, ეკო-განათლებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, 3 უფროსი რეინჯერი და 15 რეინჯერი.
- ასევე გაიზარდა არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც შეადგენს 701 456 ლარს, ხოლო CNF მხრიდან 178 864 ლარი.

2025 წელს დასრულდა ჩეხეთის განვითარების ფონდთან არაგვის დაცული ლანდშაფტის თანამშრომლობა. ლანდშაფტის ადმინისტრაციას გადაეცა პროექტის ფარგლებში შეძენილი ყველა ინვენტარი., არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია აგრძელებს თანამშრომლობას კავკასიის ბუნების ფონდთან. დონორებთან თანამშრომლობა და მათი ტექნიკური და ფინანსური დახმარება უმნიშვნელოვანესია ადმინისტრაციისათვის.

ნაწილი I. ძირითადი მიღწევები

არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის 2025 წლის მიღწევები:

1. დაწყებულია SMART მონიტორინგის დანერგვა, ჩატარდა ტრენინგები.
2. აქტიურად მიმდინარეობს მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების პროცედურა, მოხდა საჯარო განხილვა.
3. ასევე აქტიურად მიმდინარეობს არაგვის დაცული ლანდშაფტის გაფართოვების საკითხი, რომელიც 2026 წლის იანვრიდან ამოქმედდება, და გახდება 103 440 ჰა.
4. ლანდშაფტის ადმინისტრაციას დაემატა 3 უფროსი რეინჯერი.
5. ფშავში ვიზიტორთა ცენტრი და გუდამაყარში ოფისი აღიჭურვა საოფისე ინვენტარით (დივანი, მაგიდა, რუკები, ბუკლეტები და ა.შ)
6. ადმინისტრაციისთვის შეძენილი იქნა ავტო მანქანა Suzuki Vitara.
7. გარემონტდა ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები

თავი 1. დაცული ტერიტორების სისტემის განვითარება და მართვა

1.1 დაცული ტერიტორიების დაარსება, გაფართოება და განვითარება

„არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის (N 7102 IIს, 16 სექტემბერი, 2020) საფუძველზე დაარსდა არაგვის დაცული ლანდშაფტი. კანონი ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვრიდან, ხოლო ადმინისტრაცია დაფუძნდა 2021 წლის 4 მარტს დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ. არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია ფინანსდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის დელეგირებით. არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ტყეს (**დაახლოებით 33,000 ჰექტარი**) მართავს **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სატყეო სააგენტო** ტყის მართვის გეგმისა და არაგვის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად.
2026 წელს დაგეგმილია არაგვის დაცული ლანდშაფტის გაფართოება 103 440 ჰა.

1.2 სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება და დამტკიცება

არაგვის დაცული ლანდშაფცტის ადმინისტრაციისთვის ჩეხეთის განვითარების ფონდის მიერ შემუშავებულ მენეჯმენტის გეგმის აქტიური განხილვები მიმდინარეობდა 2025 წელს, საჯარო განხილვა მოხდა 2025 წლის 3 ივლისს. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ოთარ ჩხეიძე, არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დირექტორი ნატო წყარუაშვილი თანამშრომლებთან ერთად, კავკასიის

ბუნების ფონდის პროგრამების მენეჯერი ლევან თაბუნიძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების უფროსი ლიკა გიორგაძე, დაცული ტერიტორიების პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელი თეონა ქარჩავა დ ამავე სამმართველოს პირველი კატეგორიის სპეციალისტი სალომე ნოზაძე, დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღაროსკარის, ბარისახოსა და გუდამაყრის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები და ადგილობრივი თემის რამდენიმე წარმომადგენლები. არაგვის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის პრეზენტაცია წარადგინა ამავე ადმინისტრაციის სპეციალისტმა ნინო ბიჩნიგაურმა. მენეჯმენტის გეგმა გადაგზავნილია სამინისტროში შესაბამისი პროცედურებისთვის დოკუმენტის დასამტკიცებლად.

I ფოტო: მენეჯმენტის გეგმის საჯარო განხილვა

გამოწვევები და რეკომენდაციები

- არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციას ესაჭირეოება საძოვრების მართვის გეგმა
- არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციას ესაჭირეოება ადამიანური რესურსები კერძოდ რეინჯერები, ასევე სატრანსპორტო საშუალება, რეინჯერების თავშესაფარი.
- ეკო-ტურიზმის განვითარების სტრატეგია;

ნაწილი II. ძირითადი მიმართულებების დეტალური პროგრესი

თავი 1. დაცული ტერიტორიების დაცვა და კანონაღსრულება

არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის რეინჯერები ახორციელებენ ტერიტორიის მონიტორინგს და დაცვას. პატრულირების დროს ტერიტორიაზე დარღვევების დაფიქსირების შემთხვევაში, რეინჯერები უფლებამოსილები არიან რომ დარეკონ ცხელ ხაზზე და გამოიძახონ ზედამხედველობის სამსახური. დაცვის განყოფილება შედგება: ბუნებრივი რესურსების მართვისა და დაცვის განყოფილების უფროსის, ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტის, სასოფლო-სამეურნეო და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტის, ეკო-განათლებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის, 3 უფროსი რეინჯერის და 15 რეინჯერისგან.

პატრულირების და მონიტორინგის დროს გამოვლინდა უკანონო თევზაობის (ანკესით) ოცამდე ფაქტი. ადმინისტრაციის რეინჯერებმა სიტყვიერად გააფრთხილეს კანონდამრღვევები და ფატქები გადასცეს შესაბამის უწყებას.

2025 წელს ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ გამოვლიდნა ბრაკონიერობის შემთხვევები, კერძდო ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უფროსმა და რეინჯერებმა, პატრულირების დროს მურა დათვზე ნადირობის ფაქტი გამოავლინეს. ფაქტი შესაბამისი მტკიცებულებებით გადაცემულია შესაბამის უწყებისათვის შემდგომი მოკვლევის მიზნით.

გამოწვევები და რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია, რომ რეინჯერებს მიენიჭოთ სამართალდარღვევებზე რეაგირების უფლება, რაც გულისხმობს შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის შედგენას. არსებული პრაქტიკა ეფექტურია. კანონდარღევის აღმოჩენისას გარემოს დაცვის ზედამხედველობის უწყებასთან დაკავშირების შემდეგ რეაგირება ხდებოდა დაგვიანებით, ახლა კი უკვე რეინჯერებს ექნებათ ადგილზე რეაგირების საშუალება, უბრალოდ აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება.

თავი 2. ხანძრებით, მავნებლებით, დაავადებებით და სხვა ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული რისკების მართვა

2025 წლის არსებული ფინანსური და ადამიანური რესურსით ხანძრებით, მავნებლებით, დაავადებებით და სხვა ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული რისკების მართვა შესაძლებელი იყო. არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ტყეს (**დაახლოებით 33,000 ჰექტარი**) მართავს **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სატყეო**

სააგენტო ტყის მართვის გეგმის შესაბამისად, ასევე არსებული რისკების მართვა ხორციელდება სააგენტოს მიერ.

არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე დაფიქსირდა ხანძარი: ხევსურეთში საძოვრების მხარეს, ალპურ ზონაში 20 ნოემბერს, ფშავში ხომის ტერიტორიაზე ტყის ნაწილი 17 ნოემბერს და 18 მარტს არბაჩხანის ტყეში. დაახლოებით 100 ჰექტარის ტერიტორიაზე მთლიანი ტერიტორია. აღნიშნული ხანძრები გამოავლინა არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა. ადგილზე დროულად მივიდა სახანძრო-სამაშველო სამსახური და ერთობლივი ძალებით მოხდა ხანძრის ლიკვიდაცია. ხანძრები დიდი მასშტაბით არ მიმდინარეობდა, მხოლოდ მიმდებარე ტერიტორია იყო დამწვარი და ლიკვიდაციაც მალევე მოხდა.

III ფოტო: ხანძარი

გამოწვევები და რეკომენდაციები

- რეინჯერების არასაკმარისი რაოდენობა
- სატრანსპორტო საშუალებები
- ტრენინგი ტყის მავნებლებისა და დაავადებების მონიტორინგში.

თავი 3. დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია

მსოფლიოში არსებული ბიომრავალფეროვნების „ცხელი წერტილებს'' შორის ერთ-ერთია კავკასიის რეგიონი, რომლის შემადგენლობაშიც შედის არაგვის დაცული ლანდშაფტის

ტერიტორია. კავკასიის „ცხელი წერტილი“ გამორჩეულია ყველაზე მდიდარი ბიომრავალფეროვნებით დედამიწის ზომიერი სარტყლის ტყიან რეგიონებს შორის. არაგვის დაცული ლანდშაფტის ფლორა და ფაუნა არ არის შესწავლილი, მაგრამ ტერიტორიაზე არსებული ლანდშაფტის მახასიათებლები და ჰაბიტატების მრავალფეროვნება მიუთითებს ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებაზე.

3.1. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და ძირითადი სახეობების სტატისტიკა

არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია ბიომრავალფეროვნებაზე დაკვირვებას ახორციელებს ფოტოხაფანგების საშუალებით, რომელიც ეფუძნება ***ინვენტარიზაციის რუკას.*** ინვენტარიზაციის რუკა, შექმნილია ჩეხეთის განვითარების ფონდის მიერ, რომელიც მიზნად ისახავს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე, გარკვეულ სახეობებზე ან ჰაბიტატებზე საბაზისო ცოდნის მოპოვებას ან გაუმჯობესებას.

ბიომრავალფეროვნების კუთხით მონიტორინგი ხორციელდებოდა საკვანძო სახეობებზე, რომელიც მენეჯმენტის გეგმაში (სამუშაო ვერსია) არის შერჩეული არაგვის დაცული ლანდშაფტისთვის: <u>უთხოვარი *(Taxus baccata)*, მურა დათვი (*Ursus arctos*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), ტყის კატა (*Felis silvestris*), ; წავი (*Lutra lutra*),</u>

ინვენტარიზაცია/რუკაზე დატანა არის მნიშვნელოვანი (და სასურველი) გზა ბიომრავალფეროვნების მონაცემთა შეგროვებისთვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც პასუხისმგებელი ორგანოს შესაძლებლობები შეზღუდულია, როგორც მისი პერსონალის რაოდენობით, ასევე გამოცდილებით. ასეთ სიტუაციაში, ყურადღება უნდა გამახვილდეს იშვიათ და ყველაზე მეტად საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე, რომლებიც



IV ფოტო: ინვენტარიზაციის რუკა

მნიშვნელოვანია რეგიონალური, ეროვნული ან გლობალური თვალსაზრისით. აღნიშნულ ინვენტარიზაცის რუკაზე, ადმინისტრაციას შეაქვს ინფორმაცია, რომელიც არის დაფიქსირებული ველზე მონიტორინგისას, ეს იქნება ნაკვალევით თუ ფოტოხაფანგით.

ფოტოხაფანგებით არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია: მურა დათვი, მელა, გარეული კატა, შველი, წავი და გარეული ღორი;

V ფოტო: მურა დათვი (Ursus arctos)

VI ფოტო: შველი (Capreolus)

VII ფოტო: მელა (Vulpes)

VIII ფოტო: ფოცხვერი (Lynx Lynx)

არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციაში 2025 წელს არანაირი სამეცნიერო კლვევა არ ჩატარებულა და იგი თავისი ძალებით ახდენს საკვანძო სახეობებზე დაკვირვებას და მონაცემების შეგროვებას. ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ბიომრავალფეროვნებაზე დაკვირვება მიმდინარეობდა სამი დღის განმავლობაში. მონაწილეობდნენ ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი მზექალა არაბული,ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტი ლევან მამნიაშვილი,ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტი შორენა კოჭლიშვილი,ბარისახოს უბნის რეინჯერი თომა რაბული. ტერიტორია ემთხვევა გასული წლის სანიმუშო ფართობებს, მონაცემების შეგროვება ხდებოდა წინასარ შერჩეულ

კვადრატებში. სულ 10 კვადრატში გამოვლინდა სახეობათა ძირითადი რაოდენობა და თითოეული სახეობის მიახლოებითი რიცხოვნობა.

ძირითად სახეობებს წარმოადგენს: ბაბუაწვერა, ბაია, წითელთავა და თეთრთავა სამყურა, მრავალძარღვა, Aconitum anthora, მდელოს საშხი და ა.შ.



IX ფოტო: ბიომრავალფეროვნების დაკვირვება

X ფოტო: ბიომრავალფეროვნების დაკვირვება

XI ფოტო: ბიომრავალფეროვნების დაკვირვება

ფოტო-ვიდეო მასალა სისტემატიურად თავსდება არაგვის დაცული ლანდშაფტის ფეისბუქ გვერდზე. https://www.facebook.com/aragvisdaculilandshafti

გამოწვევები და რეკომენდაციები

არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე საჭიროა ჩატარდეს კვლევა მურა დათვზე და პირამიდულ ორქიდეაზე.

თავი 4. დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება

არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ტყეს (**დაახლოებით 33,000 ჰექტარი**) მართავს **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სატყეო სააგენტო** ტყის მართვის გეგმის შესაბამისად.

სატყეო სააგენტოს მიერ ხდება საშეშე მერქნის გაცემა, წელიწადში დაახლოებით 10-12 ათასი კუბური მეტრი.

საძოვრების მართვის საკითხი საჭიროებს დარეგულირებას, ამ ეტაპზე საძოვრები ადმინისტრაციისათვის არ არის გადმოცემული მართვის უფლებით. მნიშვნელოვანი გამოწვევაა ისიც, რომ საძოვრები არ არის რეგისტრირებული და მოსარგებლეებს კანონმდებლობით არ აქვთ დადასტურებული სარგებლობის უფლება.

თავი 5. გარემოსდაცვითი განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა

არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია თანამშრომლობს ადგილობრივ სკოლებთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) განათლების კუთხით, არაგვის დაცული ლანდშაფტის ბუნებრივი და კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ. ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს განათლებას მდგრადი განვითარებისათვის გლობალური საკითხების ადგილობრივ კონტექსტში განხილვას (როგორიცაა მაგალითად კლიმატის ცვლილების საკითხი), ასევე უზრუნველყოფს არაგვის დაცული ლანდშაფტის კულტურული ფასეულობებისა და მემკვიდრეობის დაცვისა და მდგრადობის შესახებ ცოდნის გაძლიერებას.

XII ფოტო: სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა

XIII ფოტო: ტურისტები ბილიჯზე.

XIV ფოტო: გამწვანების აქცია

5.1. ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები და განხორციელების სტატისტიკა

არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ეკო-განათლებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტმა ბუნებრივი რესურსების მართვისა და დაცვის განყოფილების უფროსთან და დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების განყოფილების უფროსთან ერთად ჩაატარეს 4 პრეზენტაცია შუაფხოს, ბარისახოსა და გუდამაყრის საჯარო სკოლებში.

მონაწილეობას იღებდნენ 5 მასწავლებელი და 30 მოსწავლე. პრეზენტაცია იყო თემაზე: „ტყე ჩვენი ეკოსისტემის მეგობარია“.

XV ფოტო: პრეზენტაცია შუაფხოს სკოლაში

XVI ფოტო: პრეზენტაცია დუშეთის N1 საჯაროს სკოლის მოსწავლეებთან

XVII ფოტო: პრეზენტაცია ბარისახოს სკოლაში

XVIII ფოტო: პრეზენტაცია გუდამაყრის სკოლაში

განყოფილების უფროსმა რეინჯერებთან, სხვა თანამშრომლებთან და ადგილობრივ მოსახელობასთან ერთად ჩაატარეს დასუფთავების აქცია ჩარგალში, გუდამაყარში, ხევსურეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. 2025 წელს ადმინისტრაციამ ჩაატარა 15 დასუფთავების აქცია, რომელში მონაწილეობას იღებდა 15-20 ადამიანი.

არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციამ რეინჯერებთან ერთად დედამიწის დღესთან დაკავშირებით მოაწყო დაასუფთავების აქცია ჩარგალისა და ორ წყალის მიმდებარე ტერიტორია.

გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დირექტორმა და თანამშრომლებმა ჩაატარეს დასუფთავების აქცია გუდამაყარში.



XIXI ფოტო: დასუფთავების აქცია ფშავში

XX ფოტო: დასუფთავების აქცია ბარისახოში

XXI ფოტო: დასუფთავების აქცია ფშავში



XXII ფოტო: დასუფთავების აქცია ფშავში

არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია კომუნიკაციას ახორციელებს ვებგვერდისა და სოცმედიის საშუალებით, სადაც მუმდმივად ახლდება ინფორმაცია დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დაფინანსებისა და სხვადახვა აქტივობების შესახებ.
არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციას უპირველესად ადგილობრივ მოსახლეობასთან უწევს კომუნიკაცია, მათი მოსაზრებები და მათი უფლებები ყოველთვის დაცული და გათვალისწინებულია, მოსახლეობასთან ჩატარებულია 60 საინფორმაციო შეხვედრა ისეთ საკითხებზე როგორიცაა: ბრაკონიერება, ტყის ხანძრები და მათი პრევენცია, ტერიტორიაზე ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი მიღწევაად შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობასთან ერთობლივი მუშაობის საფუძველზე, ნარჩენების მართვის გაუმჯობესების მიზნით, ნადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობით ურნები განთავსდა ისეთ ადგილებზე, რომელიც მოსახლეობამ მოითხოვა და სადაც მანამდე არ იყოს ნარჩენების შეგროვების შესაძლებლობა.

5.2 თანამშრომელთა გადამზადება / ტრენინგები

არაგვის დაცული ლანდშაფტის თანამშრომლებისთვის 2025 წელს ჩატარდა 7 ტრენინგი, მონაწილეობას იღებდა 30 ადამიანი.
ტრენინგები იყო შემდეგ თემებზე:

1. „პირველი სამედიცინო დახმარება და საგანგებო სიტუაციების მართვა.“ მონაწილეობდნენ რეინჯერები და სპეციალისტები 20 ადამიანი.
2. ტრენინგი შესყიდვებზე, მონაწილეობდა 3 ადამიანი

3. ტრენინგი „ფოტოხაფანგების დამონტაჟებასა და გამოყენებაზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და პატრულირებისთვის“. მონაწილეობდა 23 ადმიანი.
4. ტრენინგი SMART სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით, მონაწილეობდა 3 ადმიანი.
5. 3 დღიანი სემინარი: „ტყის მდგრადი მართვის დანერგვა არაგვის დაცულ ლანდშაფტში“ – ფარგლებში. მონაწილეობდა 25 ადმიანი.
6. ტრენინგი საბიუჯეტო სისტემის და ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის გაცნობა, საბიუჯეტო პროცესი; მონაწილეობდა 3 ადმიანი.
7. ტრენინგი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვა და მათი განხორციელება. ესწრებოდა 23 ადმიანი.
8. არაგვის დაცული ლანდშაფტის ვიზიტორთა ცენტრში გაიმართა დასკვნითი შეხვედრა პროექტის „ტყის მდგრადი მართვის დანერგვა არაგვის დაცულ ლანდშაფტში (2021-2024)“ ფარგლებში. ესწრებოდა 25 თანამშრომელი.

თავი 6. ეკოტურიზმი დაცულ ტერიტორიებზე

ვიზიტორებისთვის არსებობს ვიზიტორთა ცენტრი, რომელიც ღჭურვილია ბუკლეტებით, რუკებითა და შესაბამისი სპეციალისტებით, რათა მიიღონ მათთვის საჭირო ყველა ინფორმაცია.

6.1. ეკოტურისტული სერვისები

არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მიერ ამ ეტაპისათვის არ ხორციელდება ლანდშაფტის ტერიტორიაზე ვიზიტორთა მენეჯმენტი, ამ ეტაპისათვის არის შესაბამისი საველე ინფრასტრუქტურა.

2025 წელს არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების განყოფილების მიერ მუდმივად ხდებოდა შეგროვება ეკოტურიზმთან და რეგიონში არსებულ სერვისებთან დაკავშირებით საბაზისო ინფორმაცია, საოჯახო სასტუმროების ფასების და სერვისების შესახებ.
ფშავში არის საოჯახო სასტუმრო 21 და კვების 4 ობიექტი, 2 ჯომარდის სათავგადასავლო ცენტრი, სასტუმრო 1.

ხევსურეთში არის საოჯახო სასტუმრო 14 და კვების 1 ობიექტი.

გუდამაყარში არის 3 საოჯახო სასტუმრო .

ვიზიტორები	2024 წელი	2025წელი
მთლიანი ლანდშფტის ტერიტორია	47263	63000
სახლ-მუზეუმები	18700	21400

არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე არის 12 ტურისტული ბილიკი:

1. დუმაცხო-ბურსაჭირი-ჩხატისკარის ჩანჩქერი (8,8კმ);
2. დუმაცხო-ბურსაჭირი-ნარიანას ტბა (8,8კმ);
3. ბურსაჭირი-საქორის ქედი-საქორის ტბა (13,3კმ);
4. ბურსაჭირი-ბაკურხევი-უკანახოს ტბა (11,3კმ);
5. ბაკურხევი-ჩირდილი (17,18კმ);
6. ბურსაჭირი-კარკუჩა (13,85 კმ);
7. მაქართა-ლუთხუბი-უკანტბა-მიგრიაულთა (26კმ);
8. ჩარგალი-ხომი (26კმ);
9. ხომი-ცოდვიანი ტბა-ახადი (30კმ);
10. ლაშარის ჭალა-ასთაჯურის ტბა-ჭიჩოს უღელტეხილი-ჭიჩოს ჭალა (12კმ);
11. ჩალახევი-ინდურთა (44კმ) და
12. შუაფხო, რომელიც არის შემეცნებითი ბილიკი.

ბილიკების მოწყობაში არაგვის დაცული ლანდშაფტის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო PIN-ორგანიზაციამ, ადგილობრივმა მოსახლეობამ და დაფინანსებულია ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ.

XXIII ფოტო: ტურისტული ბილიკი

XXIV ფოტო: ტურისტული ბილიკი





XXV ფოტო: ტურისტული ბილიკი

XXVI ფოტო: ტურისტული ბილიკი

არაგვის დაცული ლანდშაფტის ტურისტული ბილიკზე დამონტაჟდა ბანერები, სადაც განთავსდა ლანდშაფტში არსებული ჰაბიტატებისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაცია და დამატებულია ბილიკებისთვის ყველა საჭირო ინფორმაცია.

XXVII ფოტო: ტურისტული ბილიკი

გამოწვევები და რეკომენდაციები

ტრენინგები ეკოტურიზმის მიმართლებით

ეკოტურიზმის სტრატეგიის შემუშავება და დამტებითი ტურისტული პროდუქტების განვითარება (საცხენოსნო ტურები).

თავი 7. დონორებთან თანამშრომლობა

7. 1. დონორების მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები

დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები:
ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით არაგვის დაცულ ლანდშაფტს:

- გადაეცა 2 კვადროციკლი და 4 მანქანა
- დამთავრდა პროექტი „ტყის მდგრადი მართვის დანერგვა არაგვის დაცულ ლანდშაფტში (2021-2024)“ და ამ პროექტის ფარგლებში რაც რაიმე ინვენტარი შეძენილი იყო, მოხდა ყველაფრის გადაბარება დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიაზე, შემდეგ მოხდება ლანდშაფტზე გადმობარება.

- შემუშავდა არაგვის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმა, რომელიც დამტკიცების პროცესშია.
- გუდამაყარში გარემონტდა ადმინისტრაციისთვის სამ ოთახიანი შენობა.
- არაგვის დაცული ლანდშაფტის ვებგვერდი გაუმუჯობესდა https://aragvipl.ge/geo/service/64 .

XXVIII ფოტო: გუდამაყრის ოთახები

კავკასიის ბუნების ფონდთან საგრანტო შეთანხმების ფარგლებში 2025 წელს განხორციელდა:

- ადმინისტრაციის თანამშრომლების სახელფასო დანამატების გაცემა
- თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა
- რეინჯერების უნიფორმის შეძენა
- რეინჯერებისათვის საველე აღჭურვილობის (ბინოკლები, GPS ნავიგატორები, SMART) შეძენა
- თანამშრომლების გადამზადება და გამოცდილების გაზიარება
- აღიჭურვა საჭირო ინვენტარით ვიზიტორთა ცენტრი
- მოხდა მაღალი გამავლობის ავტომანქანის შეძენა

IIIXIX ფოტო: ვიზიტორთა ცენტრი